პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი შაბათი 22 ნოემბერი № 268 (17911) ფასი 2 კაპ.

ხუთწლედის ბოლო კვარტალი

ორი შეკითხვა ჩამორჩენილი უბნის ხელმძღვანელს:

1. რამ გამოიწვია და რით შეიძლება აიხსნას ჩამორჩენა?

2. რა ღონისძიებები ხორციელდება ჩამორჩენის დასაძლევად?

ამჯერად რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების „საქართველოს ქვანახშირის“ მთავარ ინჟინერს კ. კიზირიას მივმართეთ. ეს გაერთიანება, რომელსაც საქართველოს სამრეწველო პოტენციალში დიდი ხვედრითი წონა აქვს, წარმატებით ასრულებდა სახელმწიფო დავალებებს, არაერთხელ გამოსულა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული, მაგრამ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ბოლო სამ კვარტალში მუშაობა ერთგვარად შეაფერხა.

ჩამორჩენის დაძლევის პირობები

დიახ, 1980 წელს ჩამოვრჩით. მიუხედავად იმისა, რომ ქვანახშირის ამოღების გეგმა სადირექტივო ორგანოებმა 220 ათასი ტონით შეგვიმცირეს, ამ დავალებას მაინც ვერ გავართვით თავი. ეს გამოიწვია პირველ რიგში ტყიბულის „დასავლეთი-2“ შახტის მშენებლობის გაჭიანურებამ, რომელსაც საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 7 „შახტმშენის“ ტრესტი აწარმოებდა. ეს შახტი შარშან უნდა ჩამდგარიყო მოქმედ საწარმოთა რიგებში და მისი საწყისი სიმძლავრე 100 ათასი ტონა ქვანახშირი უნდა ყოფილიყო. მეორეც, გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ტყიბულის შახტებში ღრმა ჰორიზონტებზე გადასვლით, რამაც სამთო საშუალებების წარმოებაში მთელი რიგი, როგორც გეოლოგიური, ისე ტექნიკური სირთულეები გამოიწვია. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სირთულეები დღეისათვის მხოლოდ ნაწილობრივ არის გადალახული. მაშასადამე, მეშახტეებს რთულ პირობებში მოგვიხდა მუშაობა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამით გვეხსნებოდეს პასუხისმგებლობა და გულხელდაკრეფილი მივყვებოდეთ მოვლენათა დინებას.

ზემოაღნიშნული ობიექტური მიზეზების გარდა, ჩვენს მუშაობაში გვაქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ცალკეული შახტების ხელმძღვანელები უყურადღებოდ ტოვებდნენ საწმენდი ნახის დროულად მოამზადებას საკითხს, სათანადოდ ვერ ითვალისწინებდნენ არსებულ სამთო-გეოლოგიურ პირობებს, არ იჩენდნენ ინიციატივას, ცხადია, საწარმოო მაჩვენებლები დაეცა. ზშირი იყო მანქანა-დანადგარების გვიანი შეკეთების ფაქტები, რაც მოცდენებს ადიდებდა, ამის გამო ქვანახშირის ამოღების მიმდინარე წლის 10 თვის გეგმას 35 ათას ტონაზე მეტი დავაკლეთ.

მოუგვარებელია შახტებისა და საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმე. მიზეზი, მომარაგების მუშაკების მოუქნელი მუშაობის გარდა, თვით საკავშირო სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოსა და „საქქვანახშირმომარაგების“ უყურადღებობაშიც უნდა ვეძიოთ.

იგრძნობა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების სიმცირე. კვლავ ირღვევა შრომისა და უსაფრთხოების წესები. გაერთიანების დირექციამ შახტების ხელმძღვანელობასთან ერთად დასახა რიგი კომპლექსური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს შემდგომში მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

არის ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაც. ტყიბულ-შაორის სამადოს დამუშავების რაციონალური სისტემის შერჩევის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. აღებული კურსი — მექანიზირებული კომპლექსის გამოყენებით ჰორიზონტალური შრეების დამუშავების სისტემა რაციონალურად ვერ ჩაითვლება ეფექტიანი ხანძრების გამო. ჰიდროსვენით ფენების დამუშავების მეთოდის პროგრესულობა ექვს არ იწვევს, მაგრამ სათანადო აგრეგატების უქონლობა და ამ აგრეგატების ექსპლოატაციის სირთულე ზღუდავს მათს გამოყენებას.

და კიდევ. ნაქერალას კირქვების ბაზაზე საგსები კარიერის მშენებლობა, რომელიც შახტების საპროექტო ინსტიტუტმა მოამზადა, შეფუყეტილია. საჭიროა ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსა და რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დახმარება.

საერთოდ კი ტყიბულის სამადოს რაციონალურ ათვისებისათვის უფრო ქმედითს დახმარებას მოველით სამეცნიერო, საპროექტო და საკონსტრუქტორო დაწესებულებებისაგან, მანქანათაშენებელი ქარხნებისაგან.

გეგმიურ დავალებებს თავს ვერ ართმევენ ტყვარჩელის ლენინის სახელობის შახტსამმართველო, რომელმაც მიმდინარე წლის სახელმწიფოს უკვე 30 ათასამდე ტონა ქვანახშირი დაკარგა „აღმოსავლეთ ტყიბულის „დასავლეთი“ შახტის კოლექტივი.

1980 წლის გეგმების შესასრულებლად ითვალისწინებთ მყარი საწმენდი სანგრევე ს შექმნას, მოცდენების შემცირებას, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესებას, დამატებითი რეზერვების გამოძებნას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუმცა 1980 წლის გეგმის შესრულებაში გარკვეული შეუსაბამობა გამოიკვეთა, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიც პროდუქციის რეალიზაცია, მთლიანი პროდუქციისა და საქონლის კონცენტრატის გამოშვება, გათვალისწინებული ზრდის ტემპის გადაჭარბებით შესრულდება. რაც შეეხება ქვანახშირის ამოღების გეგმას, ხუთწლედის წლიური გეგმების საბოლოო მაჩვენებლებით, ეს მაინებელიც დამაკმაყოფილებელი იქნება. ჩამორჩენის მთავარი ბრალი მაინც ჩვენ, ხელმძღვანელობას, მიგვიძღვის.

მეშახტეები მთელ სულსა და გულს აქსოვენ საქმეს, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო, დაძლიონ მიმდინარე წლის სიძნელეები. ღირსეულად შეხვდნენ ახალ წელს, ახალ ხუთწლედს, სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

კომუნისტთა წინადადებებით

ბელიაბინსკის ოლქის „კრასნაია გორნიაჩკას“ შახტის კომუნისტთა საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე სიტყვა მოითხოვა გვერაბგამყვანმა ბ. დეიანოვმა. „ჩვენს კოლექტივს გაცილებით უკეთ შეუძლია მუშაობა, — განაცხადა მან. — ამისათვის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს უბნები სათადარიგო ნაწილებით, უფრო ფართოდ გამოიყენოს შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმები, მეტი ყურადღება დაუთმოს ბრიგადების დაკომპლექტებას...“ წინადადებანი ყურადღებით განიხილა და შემდეგ კიდეც შეასრულა შახტის ხელმძღვანელობამ. ამის შედეგად მთის ქანების გაყვანა შესამჩნევად დაჩქარდა. აი ახეთი გამოდგა კომუნისტის გამოსვლის ეფექტი.

გაშალეს რა მზადება სკკპ XXVI ყრილობისათვის, პარტიული ორგანიზაციები ცდილობენ რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენონ კომუნისტთა ცოდნა, აზრი, გამოცდილება. ამას ხელს უწყობს ახლა მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. ძირითადად უკვე დამთავრდა კრებები და კონფერენციები პირველადს ორგანიზაციებში. დაიწყო რაიონული, საქალაქო კონფერენციები. აქ საფუძვლიანი სკა-ბაასი მიმდინარეობს სკკპ XXV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესახებ, კომუნისტები ყოველმხრივ აანალიზებენ თავიანთ პრაქტიკას, აყენებენ წინადადებებს, თუ რა უნდა გაკეთდეს უკეთესი შედეგების მისაღწევად.

ჩვენი პარტია ძლიერია ყველა თავისი წევრის კოლექტიური გონებით. მათი მხარდაჭერა, გამოცდილება, საქმის ინტერესებით ნაკარნახევი პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა სიბრძნის, ნოვატორული ჩანაფიქრებისა და იდეების უშრეტი წყაროა. ისინი ამდიდრებენ პარტიულ ცხოვრებას, ხელს უწყობენ მეათე ხუთწლედის ფინიშზე არა მარტო უფრო მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევას, არამედ კარგი სტარტის, საჭირო ტემპის აღებასაც შემდგომი წინსვლისათვის.

„მეტად ყურადსაღებია კომუნისტების კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — და ძალზე სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, რომლებიც დაუყოვნებლივ იღებენ მათი მიხედვით კონკრეტულ ზომებს. ეს კარგია. ეს ამაღლებს კრებების ქმედითობას, კრიტიკის ქმედითობას“.

ანგარიშგება-არჩევნების დროს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში გამოითქვა მილიონზე მეტი წინადადება და შენიშვნა. აქედან ყოველ მესამეზე მიღებულია ოპერატიული ზომები. ყველგან ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვა ხელს უწყობს ახალი, გამოუყენებელი რეზერვების დანახვას. მაგალითად, კიევის ოლქის იმ კომუნისტმეცხოველეთა მიერ გამოთქმული წინადადების რეალიზაცია, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ხუთწლიანი დავალება, შესაძლებლობას ხაბავს ხამშობლოს დამატებით მიპყიდონ 90 ათასი ტონა ხორცი, 800 ათასი ტონა რძე, 350 მილიონი ცალი კვერცხი. ლენინგრადის, იაროსლავლის, სხვა ინდუსტრიული ცენტრების საწარმოებში კომუნისტთა ინიციატივით ფართოვდება შეჯიბრება მომუშავეთა რიცხვის შემცირებით პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

ეკონომიკის განვითარების საკვანძო პრობლემების ფართო განხილვასთან ერთად აზრთა გაზიარება მიმდინარეობს კომუნისტური აღზრდის სრულყოფის, პარტიულ ორგანიზაციათა მებრძოლურობის ამაღლების შესახებ. აღნიშნავენ, რომ საჭიროა თანამიმდევრულად განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, უფრო მკაცრად მიუდგნენ პარტიული რიგების ახალი შევსების შერჩევას, განამტკიცონ დისციპლინა, სრულყონ შესრულების კონტროლი და შემოწმება, კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა. მთელ რიგ კრებებსა და კონფერენციებზე მწვავედ გააკრიტიკეს ის ხელმძღვანელები, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ კოლექტივების სოციალური განვითარებისათვის, მშრომელთა საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ერთი სიტყვით, საუბარი წარმოებს პარტიული პოლიტიკის ფართო წრის საკითხებზე, მთლიანად ჩვენს მუშაობაზე. მხარდასაჭერია იმ პარტიული კომიტეტებისა და ბიუროების პრაქტიკა, რომლებიც უკვე ახლა არ ელოდებიან ანგარიშგება-არჩევნების დამთავრებას და განაზოგადებენ კრიტიკულ შენიშვნებს, ამუშავებენ მათი შესრულების ღონისძიებებს. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომუნისტთა წინადადებების რეალიზაცია რაღაც ხანმოკლე კამპანია როდია. აქ საჭიროა სისტემა, მკაცრი პარტიული კონტროლი. არაფერი არ უწყობს ხელს ადამიანებისათვის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩანერგვას, როგორც იმის რწმენა, რომ მათს ხმას ყურად იღებენ, სასარგებლო ინიციატივას მხარს დაუჭერენ.

მიზანდასახულად მუშაობს კომუნისტთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. მარტო პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში გამართულ კრებებზე, ახლა რესპუბლიკაში მიმდინარე რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე შეტანილია 100 ათასზე მეტი წინადადება. ყველა მათგანი გათვალისწინებული, განზოგადებული და დაჯგუფებულია მიმართულებათა მიხედვით. დასახულია ყოველივე სასარგებლოს, საყურადღებოს განხორციელების ღონისძიებანი, განსაზღვრულია შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. პარტიულ კრებებზე კომუნისტებს აცნობენ, თუ როგორ მიმდინარეობს მათი შენიშვნების, თხოვნისა და წინადადებების რეალიზაცია. მაგრამ, როგორც „პრავდის“ ფოსტა მოწმობს, ზოგან სხვანაირადაც ხდება. კუზნეცოვის ტექნიკური აღჭურვილობის საცდელი ქარხნის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კამათი გამოვიდა კომუნისტი ა. შერალიევი, რომელმაც თქვა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს შრომის პირობები, განხორციელდეს სამეედლო-საწნეხი საამქროს რეკონსტრუქცია. სხვათა შორის, ამაზე ლაპარაკი იყო შარშანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროსაც. მაგრამ ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროში არ რეაგირებენ ადგილებიდან მიღებულ სიგნალებზე ყარაგანდის კიროვის რაიონის პირველადი ორგანიზაციების პარტკრებებზე, რაიონული პარტორგანიზაციის კონფერენციაზე გააკრიტიკეს სხრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელები იმიხათვის, რომ ნაკლებად ზრუნავენ ამ აუზის განვითარების პერსპექტივებისათვის, საკმაო სახსრებს არ გამოყოფენ სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამსახურების განვითარებისათვის, და თუმცა ეს საკითხი ახალი არ არის, მაგრამ სამინისტროს მუშაკებს მეშახტეთა კრიტიკადან სათანადო დასკვნები არ გამოაქვთ.

ამგვარ ფაქტებს პრინციპული შეფასება უნდა მიეცეს, პარტიულად უნდა მოკკითხოთ იმით, ვინც ყურად არ იღებს საკუთარი მისამართით გამოთქმულ სამართლიან შენიშვნებს. პარტიულმა კომიტეტებმა გადაჭრით უნდა აღკვეთონ მოჩვენებითობა, ფორმალიზმი კომუნისტთა წინადადებებზე მუშაობაში. ამასთან დაკავშირებით უურადღებას იმსახურებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკა, რომელმაც პლენუმის განსახილველად გამოიტანა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და მთელი რიგი მინისტრების ინფორმაციები სამინისტროებისა და უწყებების მიმართ ანგარიშგების დროს გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების შესახებ.

მომავალში გიგანტური მასშტაბის ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი: კრების, კონფერენციის ტრიბუნაზე რომ ადიან, კომუნისტები გამოთქვამენ წინადადებებს, როგორ გადაწყვიტონ ისინი უკეთ. საყურადღებო, საქმიანი წინადადებების ყოველნაირი მხარდაჭერა, მათი თანამიმდევრული რეალიზაცია ხელს შეგვიწყობს, რათა ახალი წარმატებები მოვიპოვოთ კომუნისტურ მშენებლობაში.

ОФПРАВДА 21 ნოემბრის მოწინავე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სახელოვანი იუბილე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც რესპუბლიკაში უნდა მოეწყოს სომხეთის სსრ და სომხეთის კომპარტიის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით. დადგენილებაში ნათქვამია, რომ 29 ნოემბერს სრულდება სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დაყარებისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის დაარსების მე-60 წლისთავი. ეს არის დიდი მოვლენა არა მარტო სომეხი ხალხის, არამედ საბჭოთა სოციალისტური ერების ოჯახის ყველა ხალხის ცხოვრებაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სომხეთის მშრომელებმა სსრ კავშირის მომძლავრებულ ხალხთა ოჯახში რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწიეს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. განვლილ ათწლეულებში საბჭოთა სომხეთის პროგრესისა და აყვავების ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო დადასტურებაა მისი ეკონომიკის მძლავრი აღმავლობა.

სწრაფი ტემპით ზრდიდა რესპუბლიკა თავის სამრეწველო პოტენციალს. ლენინური აგრარული პოლიტიკის შედეგად საბჭოთა ხელისუფლების წლებში სომხეთის სსრ რესპუბლიკა გადაიქცა განვითარებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად. უაღრესად დიდი წარმატებებია მიღწეული მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებაში. მომძე რესპუბლიკის მშრომელებს დიდი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის საქმეში.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის სომხეთის სს რესპუბლიკას ოთხგზის მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ემზადებიან რა სკკპ XXVI ყრილობისა და სომხეთის კომპარტიის XXVI ყრილობისათვის, რესპუბლიკის მშრომელები შთაგონებით მუშაობენ კომუნისტური ხელმძღვანელობის ყველა უბანზე.

რესპუბლიკის მიღწევები სსრ კავშირის მომძლ ხალხთა ლენინური მეგობრობისა და ურთიერთდახმარების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის შედეგია. წლითიწლობით მტკიცდება ამიერკავკასიის მომძლ ხალხთა მეგობრობა, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა. ამის მკაფიო მაგალითია თბილისისა და ერევნის, ქუთაისისა და ლენინაკანის, საქართველოსა და სომხეთის, მახარაძისა და ოქტემბერიანის რაიონების მშრომელთა ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება და ა. შ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალურ კომიტეტს:

— სომხეთის სსრ და სომხეთის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავის დღისასწაულობის დღეებში შრომითს კოლექტივებში მოაწყონ მეგობრობის საღამოები. ამასთან გამოიყენონ ისინი მასების ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაღრმავებისათვის;

— მოაწყონ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ლექციებ-საუბრები, რათა ფართოდ აჩვენონ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოძმე სომხეთის მშრომელთა მიერ მიღწეული წარმატებანი;

— მოაწყონ კულტურის სახლებში, კლუბებში, ბიბლიოთეკებში სომხეთის სსრ და სომხეთის კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები, მხატვრული თვითმოქმედების კონკურსები და მათს რეპერტუარში ფართოდ შეიტანონ სომეხი მწერლების, პოეტებისა და კომპოზიტორების ნაწარმოებები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტთან ერთად დაევალა თბილისში მოაწყოს სომხეთის სსრ და სომხეთის კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი რესპუბლიკის კინოთეატრებში მოაწყობს კინოსტუდია „არმენფილმის“ კინოფილმების ჩვენებას.

დადგენილებით განსაზღვრულია სხვა ღონისძიებანიც მომძე რესპუბლიკის სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად. (საქინფორმი).

საქმეთ გამოაჩინა

საყრილოგო სოციალისტურ შეჯიბრებაში არნახულ წარმატებას აღწევენ ჩვენი დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა მშრომელები. სურათებზე: მარცხნივ თქვენ ხედავთ საწარმოო გაერთიანების „ხაქელექტრომანქანის“ მეთაური ქარხნის მოწინავე ამწეყობ ზეინკალს ზეინაბ ჩერქეზიშვილს. იგი კარგა ხანია მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში იძლევა უმაღლესი ხარისხის პროდუქციას. ზეინაბი თბილისის № 86 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა საწარმოში და მონდომებული შრომით მალე მიიპყრო ხელმძღვანელთა ყურადღება. იგი გათვალისწინებულზე ოთხი თვით ადრე დაეუფლა თავის პროფესიას და დღეს თავის საქმეში ტოლს არავის უდებს.

მარჯვნივ აღბეჭდილია თბილისის ხაიარალო ქარხნის მლესავი, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი მიხეილ სიჭინავა. მის მიერ დამზადებული პროდუქცია ტექნიკური კონტროლის შემოწმებას არ საჭიროებს. მიხეილი ჩვენი მუშათა კლასის შესანიშნავი წარმომადგენელია, მას პატივს სცემენ და ბაძავენ, ბაძავენ როგორც შრომაში, ისე უოფაქცევაში.

ა. საპოვის ფოტო.

რეკონსტრუქცია — ვადამდე!

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა ჟუთაისის საავტომობილო ქარხანაში

ჟუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი — წარმოებაში გადაეცა სოფლის საჭიროებისათვის მაღალი გამავლობის ავტომატარებლის სერიული გამოშვების ათვისების ტექნიკური დოკუმენტაცია.

გრძელდება ქარხნის რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები, რომლებიც გეგმის შესაბამისად მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის უნდა დამთავრდეს. რეკონსტრუქციის ვადადე დამთავრების მიზნით რესპუბლიკის კომკავშირმა ეს მშენებლობა დამკვრელურად გამოაცხადა.

ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული გამსვლელი სხდომა, რომელიც ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში გაიმართა. კრებას დაესწრნენ რესპუბლიკის კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, ჟუთაისის საქალაქო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის კომკავშირმა გამოიჩინა დიდმნიშვნელოვანი თაოსნობა და ქარხნის რეკონსტრუქცია დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად გამოაცხადა. ახალგაზრდობა, აღნიშნა მან, საწარმოს რეკონსტრუქციისათვის ენთუზიაზმით იმუშავებს და ყველაფერს იღონებს ამ სამუშაოს ვადამდე შესრულებისათვის.

ათასამდე ქალიშვილი და ბაბუკი მოვა მეთერთმეტე ხუთწლედში კომკავშირული საგუნდებით ამ საწარმოში სამუშაოდ. საქართველოს პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლები ყოველწლიურად სამი ათასზე მეტ მოსწავლეს მოამზადებენ ჟუთაისის საავტომობილო ქარხანაში მუშაობისათვის. მის რეკონსტრუქციაზე იმუშავებენ მესამე შრომითი სემესტრის განმავლობაში სპეციალური სტუდენტური სამშენებლო რაზმები. საჭირო გახდება საშუალო სკოლების მოსწავლეთა პროფორიენტაციისათვის მუშაობის გაუმჯობესება ჟუთაისის საავტომობილო ქარხანაში ახალგაზრდა კადრების შემდგომი მოსვლისა და საწარმოში ახალგაზრდა სპეციალისტების დამკვიდრების მიზნით. დასახულია ვრცელი კულტურული პროგრამაც. აქ ხშირი სტუმრები იქნებიან რესპუბლიკის ახალგაზრდული შემოქმედებითი კოლექტივები.

ბიუროს სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ხუციშვილი, ჟუთაისის საავტომობილო ქარხნის გენერალური დირექტორი, ვ. ხარებავა, ავტოქარხნის გამმართველი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი შ. გიგინეიშვილი, გამომცდელი მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ვამაკიძე, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. აბულაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. ორჯონიკიძე, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი ჯ. ნინუა და სხვები.

ბიუროს სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ჟუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. რუხაძე.

(საქინფორმი).

ხალხის რჩეულთა დიდი ბჭობა

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

„ხუთწლედს — დამკვრელური ფინიში. სკკპ XXVI ყრილობას — ღირსეული შეხვედრა!“ საყოველთაო სახალხო შეჯიბრების ამ დევიზს ფართოდ გამოეხმაურნენ რუსეთის ფედერაციის მშრომელები. ამის შესახებ დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით ილაპარაკეს ხალხის რჩეულებმა რუსეთის სფსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის ტრიბუნიდან. 20 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში სესიამ მუშაობა განაგრძო.

დეპუტატები და სტუმრები მეუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, გ. ვ. რომანოვს, მ. ა. სუსლოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, ვ. ვ. კუზნეცოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაბანოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.

დღის სხდომაზე დამთავრდა რესპუბლიკის 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა განხილვა.

სესიამ ერთხმად მიიღო კანონი ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და დადგენილება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მიღებულია აგრეთვე კანონი რუსეთის სფსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და დადგენილება რესპუბლიკის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

საღამოს სხდომაზე რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს შესახებ რუსეთის სფსრ კანონის პროექტისა და რუსეთის სფსრ ავტონომიური ოლქების შესახებ რუსეთის სფსრ კანონის პროექტის თაობაზე მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ა. ისანოვმა.

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიურ ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, თქვა მომხსენებელმა, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა და უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოაქვს სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოსა და ავტონომიური ოლქების შესახებ კანონების პროექტ ე ბ ი. პროექტებში ზუსტად არის განსაზღვრული საბჭოების უფლებამოსილებანი. აღნიშნულია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფო ინტერესებისა და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობენ თავიანთ ტერიტორიაზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულ ტ უ რ ულ მშენებლობას. მძიმე ასახულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადიდებული ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს პარტიის გადაწყვეტილებებიდან და სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარების ობიექტური კანონზომიერებიდან.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე დეპუტატებმა თქვეს, რომ სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი კანონების პროექტები მკაფიოდ მოწმობს პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მუდმივ ყურადღებასა და ზრუნვას სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადიდებული ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს პარტიის გადაწყვეტილებებიდან და სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარების ობიექტური კანონზომიერებიდან.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე დეპუტატებმა თქვეს, რომ სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი კანონების პროექტები მკაფიოდ მოწმობს პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მუდმივ ყურადღებასა და ზრუნვას სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადიდებული ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს პარტიის გადაწყვეტილებებიდან და სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარების ობიექტური კანონზომიერებიდან.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე დეპუტატებმა თქვეს, რომ სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი კანონების პროექტ ე ბ ი. პროექტებში ზუსტად არის განსაზღვრული საბჭოების უფლებამოსილებანი. აღნიშნულია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები ყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფო ინტერესებისა და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობენ თავიანთ ტერიტორიაზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულ ტ უ რ ულ

ბიუროს სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ხუციშვილი, ჟუთაისის საავტომობილო ქარხნის გენერალური დირექტორი, ვ. ხარებავა, ავტოქარხნის გამმართველი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი შ. გიგინეიშვილი, გამომცდელი მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ვამაკიძე, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. აბულაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. ორჯონიკიძე, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი ჯ. ნინუა და სხვები.

ბიუროს სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ჟუთ

როცა ნათლად ჩანს გზები

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

აფხაზეთის მშრომელები საყოველთაო შრომითს ვახტზე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. მეათე ხუთწლედში, წინასწარი მონაცემებით, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 42,5 პროცენტით გაიზარდა. საეკსპლოატაციოდ გადაეცა 375 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და სხვა.

ყოველივე ამაზე საქმიანად იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც განიხილა აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საკავშირო საცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ამ პლენუმზე საკავშირო საცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული მითითებების შესაბამისად.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ადლეიბამ.

ინფორმაციები აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების ზოგიერთ საკითხზე გააკეთეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ავტონომიური რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ჯანბამ და აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრმა დ. ჯიჭონიამ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ხაზგასმით აღინიშნეს, რომ მიმდინარე ხუთწლედმა კარგი ბაზა შექმნა ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

წარმატებებთან ერთად პლენუმზე ის ნაკლოვანებებიც აღინიშნა, რომლებიც ჯერ კიდევ არის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში. მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის ცალკეულ უბნებზე ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა. მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობა. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა ადგილებზე შეანელეს ყურადღება, არ ეძებენ გამოუყენებელ რეზერვებს, სათანადოდ ვერ იბრძვიან შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება იყო მოსახლეობის სასურსათო და ფართო მოხმარების საქონლით უფრო სრულად უზრუნველყოფის, აგრეთვე სათბობ-ენერგეტიკული და სატრანსპორტო პრობლემების, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ორგანიზაციისა და მართვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა ძირითადად მოიწონა აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და რეკომენდაცია მისცა შეიტანონ ისინი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

საზღვრებ მეთვალყურეობა

ცნობილი დევიზი, რომ საქართველოს შეუძლია გახდეს, უნდა გახდეს და უთუოდ გახდება კიდეც მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა, აგრე ხუთი წელიწადია მოქმედებს. რესპუბლიკის მეცხოველეთა გამარჯვებით აღფრთოვანებული სოფლის მეურნეობის სისტემის მეთევზეები შრომობენ და იღვწიან სატბორე მეთევზეობის შემდგომი განვითარებისათვის. თევზმომშენებლობის პრობლემა ისეთივე აქტუალურია, როგორც მეცხოველეობა. და, საერთოდ, საჭიროა მეთევზეებმა მხარი აუბან მეჩაიეებს, მევენახეებს, მეხილეებს და სხვებს, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ ხუთწლედის დავალებებს. სატბორე მეთევზეობაში დაიწყო თევზის მოპოვებაშერეკა, ამიტომ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი კამპანია ყურადღებასა და დახმარებას მოითხოვს. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის შესრულებაში დამატებითი რესურსების დიდმნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს სატბორე მეთევზეობა და მისი განვითარებით მოპოვებული ცილოვანი პროდუქტი— ცოცხალი თევზი. ამ საკითხთან დაკავშირებით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ამბობს, რომ სასურსათო რესურსების შესავსებად უფრო კონკრეტულად უნდა მოვკიდოთ ხელი ადგილობრივი წყალსატევების უკეთ გამოყენებას და თევზის წარმოებას. აქ ხომ უსაზღვრო შესაძლებლობანი გვაქვს!

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სისტემის წყალსაცავების მქონე საზოგადოებრივ მეურნეობებში თევზის წარმოების მოცულობა 1975 წლის 449 ცენტნერიდან 1979 წლისათვის გაიზარდა 1443 ცენტნერამდე. 1980 წლისათვის მოსალოდნელია მივიღოთ 2.000–2.500 ცენტნერი თევზი, ხოლო 1981 წლისათვის შეიმუშავებული ღონისძიებების შედეგად არსებობს ყველა შესაძლებლობა, რომ მივიღოთ 8.380 ცენტნერი სასაქონლო თევზი. დასახული დავალებები რეალურია და იგი შესრულდება, რადგან სოფლის მეურნეობაში ამ დავალების გასანაღდებლად ყველა საშუალება არსებობს. ამისათვის საკმარისი იქნება გავიხსენოთ, რომ თუ 1967 წელს თითოეული ჰექტარი ტბორიდან საშუალოდ 9,5 ცენტნერი თევზი აწარმოეს და აქედან მოგებამ 1.200 მანეთი შეადგინა, 1969 წელს თევზის წარმოება 1.400 ცენტნერს აღემატებოდა, მოგებამ კი 4.700 მანეთი შეადგინა; ვანის რაიონის 3 კოლმეურნეობაში მეთევზეობიდან მიღებულმა ფულადმა შემოსავალმა 1968 წელს შეადგინა 13.881 მანეთი, აქედან მოგებამ — 4.975 მანეთი; სამტრედიის რაიონის ღანირის საბჭოთა მეურნეობაში 1964 წლიდან 1969 წლამდე სატბორე მეურნეობიდან მიღებულ 88.500 მანეთი, ხოლო აქედან მოგებამ 38.700 მანეთი შეადგინა. მთლიანად რესპუბლიკაში 1969 წელს 1967 წელთან შედარებით სასაქონლო თევზის წარმოება 2-ჯერ გაზრდა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაჩაღებული უკომპრომისო ბრძოლის შედეგად სოფლის მეურნეობაში კვლავ აღმავლობის გზას დაადგა სატბორე მეთევზეობის დარგი. მის განვითარებას ხელი შეუწყო „მტკნარ წყლებსა და წყალსაცავებში მეთევზეობის შემდგომი განვითარებისა და თევზჭერის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის აგვისტოს დადგენილებით გათვალისწინებულმა ღონისძიებებმა. ამ დადგენილებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სისტემის წყალსატევებში დაგეგმილია 1985 წლისათვის 19.000 ცენტნერი სასაქონლო თევზის მოება. ამ მიზნის მისაღწევად აგრეთვე გათვალისწინებულია დამატებით 315 ჰექტარზე სასუქებელი და 30 ჰექტარზე სანაშენო ტბორების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

ამ მიმართულებით სისტემაში უკვე გადადგმულია ფარკვეული ნაბიჯები: ცაგერის რაიონში ლაჯანურის წყალსაცავისა და გასაშენებელი ტბორების ბაზაზე შეიქმნა მეთევზეობის გაერთიანება. დიდი აღმავლობით დაიწყეს მუშაობა გურჯაანის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანების მეთევზეობაში, სადაც 12 ჰექტარ წყალსაცავში პირველსავე წელს მიიღეს თევზი. თანესთის მეცხვარეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს სიონის წყალსაცავში 1976-1978 წლებში აწარმოეს 40 ცენტნერი სასაქონლო თევზი, რომლის ფულადმა შემოსავალმა 6.813 მანეთი შეადგინა; ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საჯიშე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეთევზე ენთუზიასტების ინიციატივით მოწყობილი 7 ჰექტარი ტბორიდან 1978 წელს 22 ცენტნერი, ხოლო 1979 წელს 78 ცენტნერი სასაქონლო თევზი მიიღეს, ფულადმა შემოსავალმა 12.575 მანეთი შეადგინა; ზუგდიდის რაიონის რიყის კოლმეურნეობის ინიციატივით გამოყოფილ 3 ჰექტარი ტბორი, სადაც მიმდინარე წელს ჩაუშვეს 250 ათასი კობრის და 250 ათასი სკვლეშუწლას ლიფსიტები. აქ წლის ბოლოს მოეწყობა კიდევ ერთი ჰექტარი ტბორი. დიდი ტბორები შეიქმნება აგრეთვე ინგირისა და ჭითაწყაროს კოლმეურნეობებშიც. გაგრის მეცხოველეობის სამეურნეოთაშორისო საწარმოში ადგილობრივ ბაბუშარის ეფერზეთების საბჭოთა მეურნეობაში შენდება დიდი ტბორები, მაგრამ ასეთი ენთუზიაზმით ყველგან არ შრომობენ და ბევრგან ხელს უშლიან სატბორე მეურნეობის განვითარებას.

სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელობამ, სოფლის მეურნეობის სატბორე მეთევზეობის განვითარების ნაცვლად, ვაქირის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის 8 ჰექტარი ტბორი 24.441 მანეთი სამალასნო ღირებულებით გადასცა წნორის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებას. მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის მინისტროს ამ ტბორზე დაგეგმილი აქვს თევზის წარმოება, ხოლო რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი რ. აბუაშვილი ამ მდგომარეობას ისე უყურებს, ვითომდაც არაფერი მომხდარიყოს; თანესთის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. კოკლამაზაშვილმა ვითარი რეაგირება არ მოახდინა როცა თანესთის მეცხვარეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს თავმჯდომარე ზ. სისაური უკონოდ მოქმედებდა, მან სრულად უსაფუძვლოდ სიონის წყალსაცავიდან გაათავისუფლა მეთევზე დარაჯი ი. ხარანაული და წყალსაცავი კრძოდ მეწარმეთ დაუტოვა სათარეშოდ. რაიონის ხელმძღვანელობა კი არ გაერკვა „სანაშაულზეათევზადაცვის“ საქმიანობა არსში და არ განახორციელა არსებული კანონის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებები. არ გურჯაანის რაიონის სამეურნეო ხელმძღვანელობამ გამოიჩინა თანადო ყურადღება მეთევზეობის განვითარებისადმი. სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა შ. ბერიკელაშვილმა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეუთანხმებლად „ვეჯინის ყურის“ სატბორე ბაზაზე დეგეგმილია სრულიად სისტემიანი სასუქებელი და სანაშენო მეთევზეობის წამყვანი მეურნეობების მოწყობა-მშენებლობა.

ადიგენის რაიონში უფის კოლმეურნეობის „ოდე-არალის“ წყალსაცავში წლების მანძილზე ვერ და ვერ მოხერხდა შესაბამისი თევზმაცენების მოწყობა წყალსაცავიდან წყლის გასასვლელ მილებზე, რის გამოც 40 ჰექტარი წყალსაცავი არ არის გამოყენებული; ახალქალაქის რაიონში ბვრა მეთევზეობისათვის გამოსაყენებელი ტბები და წყალსაცავები, მაგრამ რაიონსელი ხელმძღვანელობა მათ ასამოქმედებლად არავითარ ღონისძიებას არ ახორციელებს, არც წინააღმდეგობას უწევს ორგანიზაციებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის წყალსატევებს ეუფლებიან.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეთევზეობის 117 სხვადასხვა სახის წყალსაცავი განლაგებულია რესპუბლიკის 52 რაიონის ტერიტორიაზე. ამ წყალსატევების ათვისება ამოქმედებით წყლის სარკესებრი ფართობი 1985 წლისათვის მიაღწევს 6.268 ჰექტარს, საიდანაც გათვალისწინებულია 35.700 ცენტნერი სასაქონლო თევზის მოება, ხოლო 1990 წლისათვის წყალსატევების ფართობები გაიზრდება 7.375 ჰექტარამდე. თევზის სასაქონლო წარმოება კი 77.040 ცენტნერამდე. ეს არის სოფლის მეურნეობის მეთევზეობის ინტენსიური პროგრამა მინიმუმი, რომელის განსახორციელებლად უნდა მოხდეს და იღვწოდეს ამ საქმეში დაინტერესებული ყველა მუშაკი.

საქართველოს სსრ სოფლის მშრომელები, რომლებიც ჩაბმული არიან სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში, მთელ ძალ-ღონეს იმას ახმარენ, რომ სწრაფად და უდანაკარგოდ დაამბარონ მოსავალი, ქვეყანას მისცენ რაც შეიძლება მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტები. სოფლის მეურნეობის მეთევზეებს უნდა ახსოვდეთ, რომ მოავალ წელს სასაქონლო თევზის სიუხვეს ახლა ეყრება საფუძველი.

დ. დიასამიძე,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეთევზეობის სამმართველოს უფროსი.

ალმავლობის პერსპექტივები

ქობულეთის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

სიტყვა ქობულეთს როგორც ეს გაიგონებთ, თვალწინ წარმოგიდგებათ გაშლილი ჩაის პლანტაციები და ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლული ციტრუსის ბაღები, სამხრეთული თბილი ზღვა, შესანიშნავი პლაჟი და ათობით ჯანმრთელობის კერა.... მთელი ეს წალკოტი ადამიანთა თავდადებული ხელითა და უანგარო გარჯით არის შექმნილი. შრომითი წარმატებები რაიონში დიდებულ ტრადიციად დამკვიდრდა. ამის ნათელი დადასტურება იყო ახლახან გამართული XXXIX რაიონული პარტიული კონფერენციაც, რომელზეც ქობულეთელი კომუნისტები განსაკუთრებით ხელდამშვენებულნი მოვიდნენ. მეჩაიეებმა ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულეს. არნახული მოსავალი მოიწიეს მეციტრუსეებმაც, რომლებმაც შარშან სახელმწიფოს 105 ათასი ტონა ნაყოფი მიჰყიდეს. ამყამად მეციტრუსეობის ყველა მეურნეობაში „ოქროს რთველია“ გაჩაღებულა.

დელეგატთა შორის არიან საქვეყნოდ სახელგანთქმული ადამიანები, სოციალისტური შრომის გმირები ნ. ხვიჩია, ნ. ჩელებაძე, ხ. ხიონიდი, ნ. ჯინჭარაძე, ლ. წულუკიძე, ა. ყურშუბაძე, მ. გოგიტიძე, სახელმწიფო პრემიის laureატი კ. სეფის-ყვარაძე, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მოწინავენი...

განვლილი საანგარიშო პერიოდი იმის საუკეთესო მაგალითია, თუ რა შედეგები მოსდევს ერთ ოჯახად გაერთიანებულ სხვადასხვა ეროს წარმომადგენელთა თავდადებულ შრომას. ეს კარგად ასახა საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ჯიქიამ, და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში.

საანგარიშო პერიოდში და, საერთოდ, ხუთწლედის განვლილ წლებში ქობულეთელებმა შესანიშნავი შრომითი წარმატებები მოიპოვეს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ რაიონმა სამჯერ დაიმსახურა რესპუბლიკური, ხოლო ოთჯერ — საოლქო გარდამავალი წითელი დროშა.

მეათე ხუთწლედში მეცხრე ხუთწლედთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 28,3 პროცენტით, მრეწველობის მუშაკებმა ხუთწლედის გეგმები კონსტიტუციის დღისათვის შეასრულეს. წარმოებულია 10 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, საწარმოებში დაინერგა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, რაიონს შეემატა ჩაის ახალი ფაბრიკა, საკონსერვო ქარხანის ორმა პროდუქციამ დაიმსახურა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 753 კილოგრამით გაიზარდა.

უფრო დიდი წარმატებები მოიპოვეს მეციტრუსეებმა, რომლებმაც წინა ხუთწლედთან შედარებით 2,4-ჯერ გაზარდეს მოსავალი. აშენდა სამი მიმღები პუნქტი. გაუმჯობესდა მიღებისა და გაგზავნის ორგანიზაცია. ქობულეთი მთელ რესპუბლიკაში ციტრუსების ყველაზე დიდი მწარმოებელია, ამიტომაც ამ ძვირფასი კულტურის შემდგომ განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. 190 ჰექტარზე გაშენდა ახალი ბაღები, დაირგო 350 ათასი ძირი ნერგი. წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის მეცხოველეობაში, მეხილეობაში...

ყოველივე ეს კი იმის შედეგიც არის, რომ რაიკომი დიდ მუშაობას ეწევა ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებათა იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის.

დიახ, წარმატებებე, მართლაც რომ, საკმაოდ არის, მაგრამ კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, პრობლემებსა და გადასაჭრელ საკითხებს.

როგორც ცნობილია, ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საგანგებოდ შეეხო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის დაჩქარებით დანერგვას. ამ მხრივ ქობულეთის რაიონში ბევრი რამ არის გასაკეთებელი. როგორც კონფერენციის დელეგატმა ლ. ლაზიშვილმა აღნიშნა, ჩაის დამზადება მნიშვნელოვნად უსწრებს წარმოებას, საკმარისი არ არის სიმძლავრეები, ხოლო ზოგიერთი ჩაის ფაბრიკა 40 წლის წინათ არის აშენებული და მათი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვისათვის დიდი არაფერი გაკეთებულა.

კონფერენციის მონაწილეებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ ახალი ტექნიკა ნელა ინერგება ისეთ შრომატევად საწარმოებში, როგორიც არის ადგილმრეწველობის კომბინატი, ბუჯარის ნილკენკროვანთა ქარხანა და სხვ. ამის შედეგიც არის, რომ სამრეწველო საწარმოთა 36 დასახელების პროდუქციიდან მხოლოდ ორს აქვს მინიჭებული სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. ამას ფიდი ყურადღება უნდა დაუთმონ პარტიის რაიკომმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა. ამავე დროს ისინი უფრო ღრმად უნდა ჩასწვდნენ ეკონომიკურ პრინციპებს, თანამედროვე ეკონომიკურ ვითარებას.

დელეგატებმა გააკრიტიკეს მშენებლები. აღნიშნეს, რომ მათ საქმიო დასკვნები არ გამოუტანიათ წინა კონფერენციაზე მიღებული დადგენილებიდან. კვლავაც უძნელდებათ გეგმების შესრულება, დამაკმაყოფილებელი არ არის მშენებლობის ხარისხი. ჩამორჩენა იმის ბრალიც არის, რომ მტეხის, აჯამეთისა და კასპის აგურისა და ცემენტის ქარხნებმა ქობულეთელ მშენებლებს დააკლეს აგური და ცემენტი.

დელეგატმა ნ. ბერიძემ თქვა, რომ არა აქვთ ჩაის საკოფი აპარატების სათადარიგო ნაწილები. ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობას 250 ასეთი აპარატი აქვს, ხუთწლედის მანძილზე ერთ-ერთ ასეთ აპარატზე 753 კილოგრამით გაიზარდა.

უფრო დიდი წარმატებები მოიპოვეს მეციტრუსეებმა, რომლებმაც ერთ-ერთ ასეთ აპარატზე 753 კილოგრამით გაიზარდა.

ინფორმაციები აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების ზოგიერთ საკითხზე გააკეთეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ავტონომიური რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ჯანბამ და აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრმა დ. ჯიჭონიამ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ხაზგასმით აღინიშნეს, რომ მიმდინარე ხუთწლედმა კარგი ბაზა შექმნა ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჯალენდარზეა XI ხუთწლედი

რაიკომი და ეკონომიკა

ელ პირობებში საკმაოდ ძნელია გაუსწრო დროს. ამიტომაც გვეამაყება, რომ ასე წარმატებით შეეხსა ხორცი რაიონის მშრომელთა ინიციატივას, რომლის განხორციელებისათვის ზრუნვა გახდა მთელი ჩვენი საქმიანობის ორიენტირი, პარტიულ-ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი და მამოძრავებელი ფაქტორი. ყოველივე ამან ჩვენგან მოითხოვა აგვემოქმედებინა შესაძლებლობათა მთელი არსენალი, უფრო შედეგიანი გახადა ჩვენი საქმიანობა, უფრო გაგვაკეტიური და, პირველ, ამით თვითონვე მეტი ძალა და ეფექტი შეიძინა. ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში პარტიის რაიკომს ყოველნაირად ეხმარებოდნენ, მასთან ერთად იღვწოდნენ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი, კომკავშირის რაიკომი, პირველადი პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები, მთელი რაიონის აქტივი. სწორედ ამის წყალობითაც გავუსწორთ დროს.

გარდა ამისა, დიდად შეგვიწყო ხელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებულმა განვითარებამ. წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერების შედეგად უფრო ყაირათიანად ვიყენებთ მატერიალურ რესურსებს, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა გამოშვებული პროდუქციის მასალატევადობა. ხუთწლედის განვლილ პერიოდში გადაჭარბებით შესრულდა საგეგმო დავალებები ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. პროდუქციის თვითღირებულება 1975 წელთან შედარებით შემცირებულია 16,2 პროცენტით.

რაიონის მრეწველობაში წამყვანი დარგი მანქანათმშენებლობაა. თავად განსაჯეთ: ჩვენი სამრეწველო საწარმოები წლიურად 380 მილიონი მანეთის პროდუქციას აწარმოებენ და აქედან მისი 52 პროცენტი მანქანათმშენებელ საწარმოებზე, ხოლო 45,2 პროცენტი საკუთრივ მხოლოდ ერთ საწარმოზე — საავტომობილო ქარხანაზე მოდის. და ამტომაც მით უფრო სასიხარულოა ქარხნის კოლექტივის წლევანდელი წარმატებები, რომლის თვალდადებულ შრომაზე ყველაზე მეტადვრმეტყველურად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ხუთწლედის განვლილ პერიოდში, ბევრი სხვა ჯილდოს გარდა, მას სამჯერ გადაეცა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა.

ბოლო ხუთწლედების მანძილზე და განსაკუთრებით მეათე ხუთწლედში რაიონში მნიშვნელოვნად განვითარდა ქიმიური მრეწველობა, რომლის საბაზო საწარმოა ქუთაისის ლენინური კომკავშირის სახელობის რეზინტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა. მისი კოლექტივი განსაკუთრებული წარმატებით შრომობს მეათე ხუთწლედში, ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ 1975 წელთან შედარებით წლეულს წარმოების მოცულობა 82 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხიც. ქარხნის ახალგაზრდულმა კოლექტივმა 1978 წლის მეოთხე კვარტალიდან მიყოლებული ზედიზედ შვიდჯერ გაიმარჯვა დარგის საწარმოებს შორის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ასევე წარმატებით შრომობს ავეჯის კომბინატის კოლექტივიც.

რაიონის მრეწველობის საერთო მოცულობაში მსუბუქი მრეწველობის ხვედრითი წილი 21 პროცენტს აღემატება. ამ დარგის საწარმოთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრიკოტაჟის ფაბრიკის ახალგაზრდული კოლექტივის წარმატებები, რომელმაც მიმდინარე წლის 12 სექტემბრისათვის შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა და გადაწყვეტილი აქვს ხუთწლედის ბოლომდე 3.600 ათასი მანეთის ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი ტრიკოტაჟი გამოუშვას. კარგად იშრომეს მაუდის ფაბრიკისა და ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მშრომელებმაც.

საერთო წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს პოროდუქტების საწარმოო კომბინატისა და თევზის დასამუშავებელი ქარხნის შრომითმა კოლექტივებმა, აგრეთვე სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტისა და სამენმასალათა მრეწველობის საწარმოებმა, სახლსაშენებელი კომბინატის, რკინაბეტონის ნაკეთობათა № 2, ქვის დასამუშავებელი ქარხნების კოლექტივებმა. სასიხარულოა, რომ მარტო აქ აღნიშნული ეს საწარმოები ხუთწლედის ბოლომდე სამშობლოს 7,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას მისცემენ.

ხუთწლედის ბოლომდე დარჩენილ დროში 6 მილიონი მანეთის ზეგეგმითს სამრეწველო პროდუქციას გამოუშვებენ აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაკვეთდებარების ყველა საწარმოს, ყურუ-მუნჯთა საზოგადოების სამრეწველო საწარმოს, „უსინათლოთა საზოგადოების გაერთიანების და სხვა შრომითი კოლექტივები, რომლებმაც უკვე შეასრულეს ხუთწლიანი გეგმები.

ყველას და ყველაფრის ჩამოთვლა, ვინც და რამაც განაპირობა საგულისხმო გამარჯვება, შეუძლებელია და არც არის საჭირო. ახლა, როდესაც დამთავრებულია საანგარიშო-საარჩევნო კამპანია პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში და პარტიული კონფერენციაც კარს მოგვადგა, სადღეისო ამოცანად მიგვაჩნია კიდევ უფრო განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებები, ხუთწლედის ბოლოსათვის მივაღწიოთ სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდას 39 პროცენტით, რაც 7 პუნქტით აღემატება ძირითადი მიმართულებებით ნავარაუდევ მაჩვენებელს. ამასთან გადაწყვეტილი გვაქვს გამოვუშვათ 95 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია.

ეს მეტად ძნელი და საპატიო ამოცანა ერთობ რთული პროცესია. ოღონდ ამ ამოცანის ერთ-ერთ ასეთ ასპექტზე, ანუ ფაქტორზე, ერთ-ორ სიტყვას ვიტყვ. ეს ფაქტორი ადამიანია, ადამიანი, ოღონდ ამ ადამიანის ბედ-იღბალ, ოღონდ ამ ადამიანის ბედ-იღბალ, ოღონდ ამ ადამიანის ბედ-იღბალ

საერთაშორისო ცხოვრების
დღევანდელი ჟურნალისტი

ნაყოფიერი დისკუსიები

თბილისში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხიმპოზიუმმა თემაზე „საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობა და აზიაში მშვიდობისა და უშიშროების პრობლემები“. სამი დღის მანძილზე ეთვალსაჩინო საბჭოთა და ინდოელი მეცნიერები განიხილავდნენ მრავალ საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის განვითარებასთან, მის ზეგავლენასთან აზიის კონტინენტზე და ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებასა და სტაბილურობაზე.

თბილისის შეხვედრის შედეგებს რომ განმარტავდა, დელის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. პ. დატმა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა:

— საქართველოს დედაქალაქში გამართულ ნაყოფიერ დისკუსიებს გულწრფელი და მეგობრული ხასიათი ჰქონდა. მივაღწიეთ ურთიერთგაგებას და გამოვიმუშავეთ საერთო აზრი ყველა გასნილულ საკითხზე. საბჭოთა და ინდოელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა გადაიქცა მშვიდობისა და სტაბილურობის მძლავრ ფაქტორად არა მარტო აზიის კონტინენტზე, არამედ მთელ მსოფლიოში. სრულიად საფუძველიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმპოზიუმის მიზანი მიღწეულია, რომ თბილისის შეხვედრა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურთიერთგაგების შემდგომ გაღრმავებას.

ჩვენი სიმპოზიუმი და მისი ნაყოფიერი შედეგები განსაკუთრებულ წონას იძენს ინდოეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენის — ჩვენს ქვეყანაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ვიზიტის წინ. სიმპოზიუმი გახდა ნაწილი ჩვენი ერთობლივი მზადებისა ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის. დარწმუნებულ ვართ, რომ იგი ახალი ისტორიული ნიშანსვეტი იქნება ინდოეთისა და სსრ კავშირის მტკიცე მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებაში.

მე და ჩემ კოლეგებს არ დაგავიწყდება თქვენს შესანიშნავ რესპუბლიკაში გატარებული დღეები. ქართველებთან შეხვედრებმა, თქვენი ძველი კულტურის ძეგლების გაცნობამ ჩვენზე წარუშელელი შთაბეჭდილება მოახდინა.

● ●

თანამშრომლობის ახალი იმპულსი

საბჭოთა კავშირ-შვეიცის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის ფარგლებში თბილისში ხუთ დღეს მიმდინარეობდა სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავების ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემთა სამუშაო ჯგუფის სხდომა. 21 ნოემბრის ხელმოწერილ ოქმში სხდომის მონაწილეებმა ჩაწერეს შეთანხმებანი მთელ რიგ მნიშვნელოვან პრინციპულ საკითხებზე, დასახეს მომავალი ორი წლისათვის თანამშრომლობის პერსპექტივები.

— რვა წლის თანამშრომლობის მანძილზე გავწიეთ დიდი მუშაობა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირისა და შვეიცისათვის, არამედ მთელი მსოფლიო სამოქალაქო ავიაციის განვითარებისთვისაც, — თქვა სამუშაო ჯგუფის საბჭოთა ნაწილის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრის მოადგილემ ბ. გრუბამ. — მაგალითად, წყდება საში ატომსაფრფილი მოვლენებისაგან ავიაციის დაცვის, საჰაერო მიმოსვლის მართვის სისტემებისა და მფრინავთა შემადგენლობის მომზადებისა და წვრთნის მეთოდების სრულყოფის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ამ შეხვედრაზე მოვამზადეთ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი თვითმფრინავების კორპუსებისა და ასაფრენ-დასაჯდომი ზოლების გაყინვის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე.

საბჭოთა მხარის ხელმძღვანელის აზრი გაიზიარა მისმა შვედმა კოლეგამ ჰ. ვინბერგმა, რომელიც თითქმის სამი ათეული წელია ხელმძღვანელობს შვეიცის სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტს.

— შვეიცია პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც საჰაერო მიმოსვლა დაამყარა საბჭოთა კავშირთან, — თქვა ჰ. ვინბერგმა. — ჩვენს სახელმწიფოებს თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვთ. მას ახალი იმპულსი მიეცა ამ შემდეგ, რაც სსრ კავშირმა და შვეიცამ დადეს მთელი რიგი შეთანხმებები, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის დარგში. შვეიცია და საბჭოთა კავშირი არიან თითქმის ერთნაირ კლიმატურ ზონებში, ორივე მხარის ავიაკომპანიებს მუშაობაც უწევთ დაახლოებით ერთნაირ ამინდის პირობებში. ამიტომ არის, რომ ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჯამოცდილებას, ინფორმაციის გაზიარებას. ახლა ჩვენ დავიწყეთ საჰაერო მიმოსვლის უფრო სრულყოფილი სისტემებისა და თვითმფრინავების მომზადებისა და ოპტიმალური მარშრუტების შემუშავება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პირობებში, როცა მთელ მსოფლიოში იგრძნობა საწვავის დეფიციტი. (საქინფორმი).

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორს ნოდარ მელიტონის ძე ჩაჯელიანს მიენიჭა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

მადრიდის შეხვედრაზე

მადრიდი, 21 ნოემბერი. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე 35 სახელმწიფოს წარმომადგენლთა მადრიდის შეხვედრაზე დახურულ პლენარულ სხდომებზე დაიწყო ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხთა განხილვა. თავისი პოზიციები ჩამოაყალიბა ლუქსემბურგის წარმომადგენელმა. რამდენადაც შეგვიძლია ვთქვა, ოფიციალური ცნობების მიხედვით, მან მთელი რიგი მოსაზრებები წამოაყენა განხილულ პრობლემათა გამო, რომლებიც ასახავს მოლიანად „საერთო ბაზრის“ თვალსაზრისს. სახელმწიფოთა საქმიანი ურთიერთობის განვითარების თემებს მიეძღვნა ფინეთისა და შვეიცის წარმომადგენელთა გამოსვლებიც, რომლებსაც, როგორც ცნობილი გახდა, ახასიათებდა სეროიზული, კონსტრუქციული სულისკვეთება.

რაც შეეხება გუშინდელი დისკუსიის მოთხე მონაწილეს — ამერიკის წარმომადგენელს მ. კამპელმანს, მისი სტატუა და საქციელი მკვეთრი დისონანსი იყო მადრიდის შეხვედრის საერთო ატმოსფეროსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივნის გამოსვლის მიმართ. როგორც ეს უკვე 17 ნოემბერს მოხდა, ამერიკის დელეგატმა, მადრიდის ფორუმის ყველა მონაწილის მიერ მიღწეული მორიგებების მიუხედავად, კვლავ დაარღვია დახურული სხდომების პრინციპი და თავისი გამოსვლა პლენარულ სხდომაზე გააცნო ჟურნალისტებს, ამასთან, უწინარეს ყოვლისა, ისახავდა პროპაგანდისტულ მიზნებს. მისი სიტყვა აღსავსე იყო პროპაგანდით, რომელსაც საერთო არა აქვს რა ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხთა კონსტრუქციულ განხილვასთან.

თუ ვიმსჯელებთ ჟურნალისტთა შორის მის მიერ გავრცელებული გამოსვლის ტექსტის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი სრულიად გარკვეულ მიზნებს ისახავდა. ერთ-ერთი მათგანი განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ დასავლეთ ევროპის მეტი წილი სახელმწიფოები აქტიურად ავლენენ დაინტერესებას სოციალისტურ სახელმწიფოებთან ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის განვითარებით, ამასთან ისწრაფვიან განახორციელონ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკა. სწორედ ამიტომ მათ მხარი არ დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთ წოდებულ „ეკონომიკურ სანქციებს“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პრესკონფერენციაზე, რომელიც პლენარული სხდომის დამთავრებისთანავე გაიმართა, ამერიკის დელეგაციის მეთაური აშკარად შეეცადა ზემოქმედება მოეხდინა ამერიკის შეერთებული შტატების ნატოელ პარტნიორებზე, ეიძულებინა ისინი ემოქმედათ ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მეორე მიზანი კი ის იყო, რომ ზემოქმედება მოეხდინა საბჭოთა კავშირზე, ემუქრებოდა მას ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის შეწყვეტა. ასეთი პოლიტიკის გასამართლებლად, უკვე მერამდენედ, იგი იმოწმებდა ავღანეთისადმი საბჭოთა კავშირის დახმარებას.

უსაფუძვლო ტრაბახად გაისმა მ. კამპელმანის განცხადება იმის შესახებ, თითქოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა უფრო მეტად სჭირდებოდეს საბჭოთა კავშირს, ვიდრე შეერთებულ შტატებს. აშკარად უსაფუძვლო იყო მისი მტკიცება, თითქოს ასეთი ურთიერთობის განვითარების წინააღმდეგი იყვნენ თვით ამერიკელი მეცნიერები, ამავე დროს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცალკეული მეცნიერი მუშაკების გარდა, რომლებიც სახელმწიფო დეპარტამენტმა ჩაითრია სხვადასხვა პოლიტიკურ სპეკულაციაში, ამერიკელ მეცნიერთა დიდ უმრავლესობას საბჭოთა კოლეგებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვნად და ნაყოფიერად მიაჩნია.

ახალი შემადგენლობა

ბისაუ. აქ გამოაცხადეს გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის ახალი რევოლუციური საბჭოს შემადგენლობა. მისი თავმჯდომარე გახდა ბრიგადის გენერალი ჟოაუ ბერნარდუ ვიეირა. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა ვიქტორ საუდე მარია.

მ შ რ ო მ ე ლ თ ა კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს

ულან-ბატორი, 21 ნოემბერი. აქ გაიმართა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მან განიხილა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის 1981 წლის სახალხო მეურნეობის და კულტურის განვითარების გეგმის პროექტი და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. პლენუმმა გადაწყვეტილება მოწვეულ იქნეს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVIII ყრილობა 1981 წლის 26 მაისს.

პლენუმზე გამოსვლისას მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა თქვა, რომ თავის მორიგ ყრილობას მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია ეგებება მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მჭიდროდ შეკავშირებული, სოციალისტური მშენებლობის ახალი გამოცდილებით გამდიდრებული. პარტიის XVII ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში მონღოლმა მშრომელებმა საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების, სხვა სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში.

შეეხო რა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის მიღწევებს, ი. ცედენბალმა აღნიშნა, რომ, წინასწარი მონაცემებით, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე კაპიტალურმა დაბანდებამ სახალხო მეურნეობაში შეადგინა 15 მილიარდი ტუგრიკი, რის მეოხებითაც ძირითადი საწარმოო ფონდები 1,7-ჯერ გაიზარდა.

ახალ ხუთწლეულში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი მიმართულება, თქვა მან შემდეგ, კვლავინდებურად იქნება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი აღმავლობა. მეშვიდე ხუთწლეულში დასახულია სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდები გაიზარდოს 1,6-ჯერ, უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული შემოსავლის არსებითი ზრდა.

დასასრულ ი. ცედენბალმა თქვა, რომ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღება, საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულება ქვეყნის ყველა ორგანიზაციისა და შრომითი კოლექტივის უპირველესი მოვალეობაა, თითოეული კომუნისტის, რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის ვალია.

ფოტოინფორმაცია



ამერიკის შეერთებულ შტატებში ინდიელთა ბედკრული მდგომარეობა, მათი ელემენტარულ უფლებათა უხეში დარღვევები და მონოპოლიების მიერ მათი მიწების მტაცებლური განადგურება — ამ პრობლემებს მიეძღვნა ნიუ-იორკში ამერიკის მკვიდრ მოსახლეთა პრესკონფერენცია.

სურათზე: მახკოის ტომის ბელადის ფილიპ დრის გამოსვლა. „ცდილობენ ჩვენ წაგვართვან არა მარტო საკუთარი კულტურის, ენის, რელიგიის, განათლების, შრომის, ქონების უფლება, არამედ ცხოვრების უფლებაც!“ — განაცხადა მან.

საკ.ფოტოქრონიკა.

უ. კაშტანი მოუწოდებს

ოტავა, 21 ნოემბერი. იმპერიალიზმის ძალების, უწინარეს ყოვლისა, ნატოს აგრესიული ბლოკის აშკარა პროვოკაციის მიუხედავად, საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დამკვიდრების, დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარებას, განიარაღების კურსს, განაცხადა ტორონტოში გამოსვლისას კანადის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა უ. კაშტანმა. მან აღნიშნა, რომ, როგორც ნიადაგ უსამს ხაზს საბჭოთა კავშირი, ახალი მსოფლიო ომის ფატალური გარდაუვალობა არ არსებობს, და დასძინა, რომ პეკინელ ჰეგემონისტებთან პირშეკრული იმპერიალისტები ცდილობენ ხალხები დაარწმუნონ ომის გარდაუვალობაში, მორალურად გატეხონ ისინი, ჩაუნერგონ სასოწარკვეთილების გრძნობა.

ამასთან დაკავშირებით კანადის კომპარტიის გენერალური მდივანი შეეხო დასავლეთის მილიტარისტული წრეების ცდებს, რომლებიც ისწრაფვიან დაარწმუნონ დასავლეთის სახელმწიფოების ხალხები რაღაც მითური „საბჭოთა საფრთხის“ არსებობაში, და თქვა: არავითარი საფუძველი არა გვაქვს გვეშინოდეს საბჭოთა კავშირისა. მისი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა კარგად არის ცნობილი.

უ. კაშტანმა კანადის მთავრობას მოუწოდა განავითაროს ყოველმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, ურთიერთობა, რომელიც კანადის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება.

უ. კაშტანმა მკაცრად დაგმო ვაშინგტონის ცდები, რომელიც აძლიერებს კანადაზე ზემოქმედებას და ცდილობს მნიშვნელოვნად გააზრდევინოს ისედაც უზარმაზარი სამხედრო ხარჯები, რაც საფრთხეს უქადის მშვიდობას, რომ აღარფერი ვთქვათ იმაზე, თუ რაოდენ მძიმე ტვირთად აწევება ეს ხარჯები ეროვნულ ეკონომიკას.

ლ ო გ ი კ ი ს ფ ი ნ ა ა ლ ბ ლ ე ბ ი

ვაშინგტონი. 21 ნოემბერი. ლოგიკის საწინააღმდეგოდ კარტერის ადმინისტრაცია კვლავ ეძიებს ეგრეთ წოდებულ „კემპ-დევიდის პროცესს“, რომელიც თავისებურად უკვე სამოლოოდ გაკოტრდა. წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა ქვეკომისიაში გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთის მოლაპარაკებაში ს. ლინოვიცი ამტკიცებდა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების შუამავლობით არად ხალხთა ზურგს უკან დადებული ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული გარიგება „დიდი წარმატება“ იყო და „ჩარჩოებს“ ქმნიდეს კონფლიქტის მოსაწესრიგებელად. იგი ხოტბას ასხამდა უბადაღებულ მოლაპარაკებას პალესტინელთათვის ეგრეთ წოდებული „ავტონომიის მინიჭების“ შესახებ, რომელშიც როგორც ცნობილია, არ მონაწილეობენ პალესტინელთა კანონიერი წარმომადგენლები, და არ ეხება მთავარ პრობლემას — პალესტინის არაბი ხალხის იმ ხელშეუფალი უფლების უზრუნველყოფას, რომ თვითონ განაგოს საკუთარი ბედი.

ახლო აღმოსავლეთში „მშვიდობისადმი მისწრაფების“ შესახებ ამ მტკიცების მიმა კვლავ იმალება ვაშინგტონის მიერ ისრაელ აგრესორთა მტკიცე მხარდაჭერა.

ბოლო მოკულოს ისრაელ აგრესორთა [illegible] ბრალეულ [illegible] ამერიკელ [illegible] ცალმხრივ [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული

„...ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“

... არ გეწყინოთ და, თქვენს გაზეთს ისე ხომ არ მოსდის, სიმღერაში რომ არის ნათქვამი: „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“... აბა სხვაგვარად ვერ გამიგია რად გინდათ ჩვენი სინამდვილის ამდენი კრიტიკა. სიმართლის მღაღადებლის როლს იჩემებთ და ზოგი დასაჯერებელი და ზოგიც დაუჯერებელი, ორივე შემთხვევაში კი რესპუბლიკის სახელის გამტეხი ამბები ქვეყანას მოსდეთ. ჯერ იყო და, თითქმის მთელი გვერდის მოცულობის განყოფილება შემოიღეთ, დაარქვით „ნესი, რიგი და ჩვენ“. შიგ იმდენი სიგლახეა, რომ არც „წესია“ ეს და არც „რიგი“, „ჩვენ“, ქართველები კი ვილანძღებით. პირველად ასატანი მეჩვენა, კვირაში ერთხელ თუ იქნებოდა მხოლოდ კრიტიკული მასალების თავმოყრა და სხვა დღეებში მკითხველი აუდიტორიის თვალსა და ყურს მოასვენებდითო. მაგრამ ასე არ მოხდა. ამას წინათ რუსთაველი მომხდარი ისეთი უმსგავსო ამბის მოწმე გავხდეთ, პირდაპირ ამაზრზენის. მერე, 2 ნოემბერს, შოთა ნიშნიანიძის ორიგინალური, თავისთავად ძალზე საინტერესო, მაგრამ ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრებული ლექსები პირველ გვერდზე გამოიტანეთ და, საერთოდ, იმავე ნომერში დაბეჭდეთ, რომელშიც რესპუბლიკის და მისი პარტორგანიზაციის ბოლოდროინდელ მუშაობას უმაღლესი შეფასება მიეცა უმაღლეს დონეზე. არც ის ნოველა მომეწონა, ამერიკული ყოფა-ცხოვრების კრიტიკის პრეტენზია რომ ჰქონდა. დღეს გაზეთი მივიღე და... ისევ „წესი, რიგი და ჩვენ“. კიდევ კარგი, რომ „კომუნისტს“ სხვა ენებზე დუბლი არა აქვს...

● ●

ეს რედაქციისადმი მკითხველის წერილის მეორე ნახევარია, პირველ ნახევარში იგი გაზეთს აქებს. მიუხედავად ამისა უნდა ვაღიარო — მწარედ არის ნათქვამი.

ვის ვუპასუხებ, სამწუხაროდ, არ ვიცი—წერილი ხელმოუწერელია. მაგრამ, რაკი დაახლოებით ასეთივე მოსაზრებანი სარედაქციო ფოსტაში წინათაც (თუმცა იშვიათად) შეგვხვედრია, იქნებ მაინც სწორი იყოს ჩვენს უცნობ კორესპონდენტთან საჯაჭარო ბჭობა და კამათი.

დავიწყოთ იმით, რომ წერილისთვის ხელი უნდა მოეწერა. იგი ხომ რესპუბლიკის და მისი პრესის ინტერესებს იცავს, როცა თავის შეხედულებას გვიზიარებს. თანაც ზოგიერთი შენიშვნა სრულიადაც არ არის მოკლებული საფუძველს და ამდენად გასათვალისწინებელია.

მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი.

მთავარ პრინციპულ დებულებებსა და შეფასებებზე დათანხმება კი შეუძლებელია — შეცდომა იქნება, მიუტევებელი შეცდომა.

აი, სწორედ ამ დებულებებს შევეხოთ.

საჭიროა თუ არა ჩვენი სინამდვილის ამდენი და ასე „ამხედრებული“ კრიტიკა?

რა თქმა უნდა, არა, ჩვენი სინამდვილე კომუნისტურ იდეალს უკვე რომ ასახიერებდეს. მარქსიზმ-ლენინიზმი, ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის ეს ყველაზე მეცნიერული, ჰუმანური და სამართლიანი თეორია, რომლის პრაქტიკულ განხორციელებას კანონზომიერი სიძნელეები სდევს თან, გვასწავლის, რომ სოციალისტურ ქვეყანაში ერთი მმართველი პარტიის პირობებში კრიტიკა და თვითკრიტიკა საზოგადოებრივი პროგრესის ყველაზე ქმედითი ნარმმართველი ძალაა. ჩვენი ნაკლი და ხარვეზი ჩვენვე თუ არ ვაღიაროთ და გამოვაკეთეთ, სხვას თავს არავის ატკენს.

„სიმართლის მღაღადებლის როლს იჩემებთო...“

არ ვიჩემებთ, ვალდებული ვართ ვიყოთ:

— **პარტიული კანონით** — გავიხსენოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის შარშანდელი აპრილის დადგენილება იდეოლოგიური, პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, სადაც პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ ჩვენი ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო პრობლემების მიჩუმათება განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საერთო საქმის საზიანოა და წინსვლას ეღობება;

— **ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მაგალითით** — რამეთუ დადგა ჩვენში ყამი პირუთვნელობისა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1972 წლიდან მოყოლებული არ ჰქონია არც ერთი აქცია, ცალმხრივი, პარადული რომ ყოფილიყო რესპუბლიკაში თვითკმაყოფილების გრძნობას სარწყავად და საკვებად რომ გამოადგებოდა;

— **და ბოლოს, უბრალოდ მოძალაქეობრივი ინტერნაციონალისტური და ეროვნულ-პატრიოტული სინდისით.**

„ეტაბა და ძაგება ერთად, ერთ ნომერშიო...“

გაზეთში ცალკ-ცალკეც შეიძლებოდა, ოღონდ ცხოვრებაში ავი და კარგი ცალკ-ცალკე დაფასოებული არ არის. არც ისეა, რომ ავს აუცილებლად ფუსუსო ჰქონდეს დასეული, რომ თავიდანვე შეიცნო. ცხოვრების დიალექტიკა, ო, რამდენად უფრო რთულია! ნიშნიანიძის მოქალაქეობრივი ლირიკა არა ზოგადს, კურსს, ტენდენციას, არამედ კეტრძო ნაკლს აქცევს ლახტის წრეში, კონკრეტულ სიმართლეს ასახავს.

აბა, განვსაჯოთ: რა გოლიათური ნაბიჯები ახასიათებს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას, რა სასიხარულო მოვლენების მონაცვლეობაა მეცნიერებაში, კულტურაში, და ამავე დროს დანაშაულობათა აღმოფხვრის პრაქტიკა, მაინცდამაინც, არც ფერს იცვლის და არც ფეხს. ამის ერთ-ერთ მიზეზად პოეტი იმას რაცხს, რომ აქლემის ქურდს და ნემსის ქურდს ზოგჯერ ერთ ჩარჩოს მოარგებენ ხოლმე (გასაგებია, არა ანდაზის ხათრით!), ხანდახან პირველს მეორისათვის განაჩენიც კი გამოაქვს. რატომ არის ეს ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრება და რატომ არ არის კონკრეტული ნაკლის კრიტიკა? ბუნებრივია, პოეტი კრების ოქმის ენას ვერ მოიხმარს, პოეტიკის ხერხებს მიმართავს და ამის გამო ხომ არ ხდება საერთოს და კერძოსი, ზოგადისა და კონკრეტულის, არსისა და ცალკე ნიშან-თვისების ცნებების აღრევა?

ვგონებ, მივადექით იმ მიზეზს, რომელმაც იქნებ გასაგები გახადოს, თუ რატომ შეიძლება ისეთი ეჭვი აღეძრას თუნდაც ერთ მკითხველს, როგორზეც ვმსჯელობთ. საკითხი, ალბათ, ასე იმბის: უარიანია თუ არა მწვავე, სუსხიანი კრიტიკა დღეს, დიდ სიკეთეთა დროს ისე რით ვერ გადაძალა სიავე, ისე როგორ ვერ დათრგუნა, რომ საქვეყნოდ მკერდში მჯიღის ცემა არ გვიხდებოდეს.

ამას კი უკვე სჭირდება ახსნა და დასაბუთება, თორემ თითქოსდა მართლაც შეუსაბამო შეფარდებათა ილუზია იქმნება.

არც იქით ვიყავით და არც აქეთ, და თვითკმაყოფილების ღიმილი პირიდან არ მოგვცილებია. ნელში გავიმართეთ, ხალხისა და მის გამძღოლთა განუწყვეტელი დღენიადაგი ცდით, შრომით, დაგვით, მონდომებით ავტორიტეტი შევიქმენით, მოძმეთა და სხვათა სამზარელი და საინტერესო გავხდით და ჭინჭარს მაშინ მოგკიდეთ ხელი.

ესეც დიალექტიკაა, რომელსა შინა გარკვევა ერთნაირად გვჭირდება ჩვენც, ჟურნალისტებს, საგაზეთო მასალის ყველა ავტორს, ვისაც პატივი და უფლება გვაქვს მონიჭებული ფართო საზოგადოებრიობას ნარვუდგინოთ საკუთარი შემოქმედება, და ამ შემოქმედების უპირველეს შემფასებლებსაც — მკითხველებს.

ნაკლი სწორედ მიღწევათა ფონზე ხდება უფრო შეუწყნარებელი — აი იმ დიალექტიკის არსიც და რეფრენიც.

რესპუბლიკაში ალმასელაა, ალმართს მიმავალისთვის კი ტვირთს, სკოლიდან ვიცით, ორმაგი წონა აქვს. ამიტომ ზედმეტი, უსარგებლო, მხრებს რომ გვიმძიმებს, მუხლს ძალას აცლის და ფეხთ გვებლანდება, უყოყმანოდ უნდა ძირს დავაცუროთ, ხრამსა და ნკვარამში გადავუშვათ.

ეს საქმის, ასე ვთქვათ, ფიზიკური მხარე. რაც შეეხება მორალურ-ფსიქოლოგიურს, მის კარგ ილუსტრაციად გამოდგება ნ. ბარათაშვილის დღევანდელი ნერილი „როგორ ცხოვრობთ, ახალმოსახლეებო?“.

ესეც ჭინჭრისეული პუბლიცისტიკაა, მაგრამ სწორედ **დღესდღეობით** გვერდს რომ ვერ აუვლი, ისეთი.

და, მოდით, ესეც განვსაჯოთ.

უკანასკნელი წლების გადასახედიდან უეჭველად მოჩანს, რომ საქართველოში მშენებლობას ასეთი ბუმი არასოდეს განუცდია. ალბათ ერთი ახალი დიდი დასახლების ქალაქი გაშენდებოდა იმ ფულით, რომელსაც რესპუბლიკა წლიდან წლამდე ვერ ითვისებდა. ბოლო ხუთწლედ-ნახევარში კი ჩვენში მასობრივი ახალმოსახლეობაა და ამავე დროს ახალმოსახლეთა ნაკლებობა ეტყობა. ეს იმიტომ, რომ ვისაც ჯერ არს ვერ შეუფასებია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შეგონება: მშენებლობის ხარისხის პრობლემას პოლიტიკის რანგში აყვანა სჭირდებაო, რადგანაც ადამიანების საარსებო სჭიროების დაკმაყოფილებაზე ბევრად არის დამოკიდებული მათი გუნებ-განწყობილება.

მაშ, მობოდიშებით ვნეროთ უხარისხობაზე, უპასუხისმგებლობაზე, უპირობაზე, კიდევ ბევრ „უ“-ზე, ზოგჯერ უსინდისობამდე რომ მიდის?!

შენ კი, შე კაი კაცო, „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“... ბარემ მიგენერა: „გამთენებელი ღამისაო...“ და ვეტყოდი: აბა ვინ ჭკუათმყოფელი გაზეთზე ღამეს გაათენებს, რომ დილით მკითხველს საქართველოს საძრახისი რამ შეჰკადროს.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ, 21 ნოემბერი. (საკინფორმის კორ.). რაიონის მშრომელებმა ვადამდე უპატკეს სამშობლოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების წლიური და ხუთწლიანი დავალებების შესრულება და კარგი განწყობილებით შეხვდნენ შრომის დღესასწაულს, რომელიც აქ გაიმართა. ზეიმი გახსნეს მაიაკოვსკის იმ კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ხუთწლიანი გეგმა. ტრიბუნებს ჩაუარეს ობჩის, დიმის, საკრაულისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა მშრომელებმა.

გაიმართა სახალხო სეირნობა, ხოლო კულტურის სახლში — საღამოსასწაულო კონცერტი.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ, ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲔᲑᲝ?

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ, ახალმოსახლენო? მშვიდობა თქვენს სახლებსა და თქვენს ოჯახებს. დაგელოცოთ ბალავერი, გიმაღლოთ ჭერი, გიმრავლოთ აკვნები, მზიანი და ხალისიანი გუნება-განწყობა ნუ მოგშლოდეთ მაგ თქვენს მზით გაჩახჩახებულ, ხალისიან ბინებში.

ამას წინათ შემთხვევით ერთი მშვენიერი ზეიმის მოწმე გავხდი. მოწმე კი არა — მონაწილეც. ჩემს ქალაქს ახალი სახლი შემომატებოდა — თეთრი, მრავალსართულიანი გოლიათი და მისი „ნათლობა“ იყო. დათქმულ დროს საზეიმოდ გაიღო ყველა სადარბაზოს კარი და სახეგაბრწყინებული ქალი თუ კაცი შეუყვა თავისი ახალი სამკვიდროს კიბეებს.

ეზოში გრიალ-გრიალით შემოდიოდნენ საბარგო ავტომანქანები, პირთამდე ავსებული კარადებით, მაცივრებით, სერვანტებით და სხვა საოჯახო ხაბაკ-ხუბაკით. კიბეებზე აღმა-დაღმა დაჰქროდნენ ბავშვები ბუთრთები, ველოსიპედებით, სათამაშო აკვნებითა და ჩიტებიანი გალეებით.

კარგახანს ვიდექი ჩემთვის ამ სკასავით აფუსფუსებულ ეზოში, ვიდექი და ვფიქრობდი, რა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად იქცა ეს სურათი ჩვენი ცხოვრებისთვისმეთქი. რარიგ შევეჩვიეთ ამ ზეიმურ სიტყვას — ახალმოსახლეობა!

და მაშინვე თვალწინ დამიდგა ჩემი ბავშვობის დიდი ეზო, სადაც ორმოცზე მეტი ოჯახი ვცხოვრობდით. გამახსენდა ის დღე, ბავშვებმა პირველად ყური რომ მოვკარით — ესა და ეს ოჯახი ჩვენი ეზოდან გადადის, ბინა მიიღესო...

ბინა მიიღესო?! ეს — არც მეტი, არც ნაკლები — სენსაცია გაჩლდათ. ეს ამბავი ეკერა პირზე ყველას — დიდსა თუ პატარას. უკან დაიხიეს დიდმა საერთაშორისო მოვლენებმა, დავიწყებას მიეცა ეზოსშიგნითა კონფლიქტები. ყველა და ყველაფერი გაუფეღლდა ამ გაუგონარი, გრანდიოზული ახალი ამბის ფონზე!

დღეს კი... დღეს კარგახნის უნახავი ორი კაცი ერთმანეთს რომ შეხვდება, უეჭველად შეეკითხება — მისამართი ხომ არ გამოგცვლია, ახალ ბინაში ხომ არ გადასულხარო.

დღეს ჩემი ბავშვობის ქალაქის ყოველ ზღუდეს ახალი ქალაქი აკრავს. დღევანდელი საბურთალო სპეციალისტთა სახლის იქით მოღაღანე ყანებით აღარ მთავრდება. ცისკენ მიიწევს თბილისური „შატილი“, აეროდრომისკენ მიმავალ ტრასას მიჯრით მიჰყვებიან საცხოვრებელი უბნები. ათიათასობით თბილისელის ოჯახი დაეფუძნა დიღმის, გლდანის, თემქის, ვარკეთილის, ვაზისუბნის საცხოვრებელ მასივებში. ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოში ახალი ბინა მიიღო და საცხოვრებელი პირობები გაიუმჯობესა მილიონნახევრამდე ადამიანმა. მარტო ამ ხუთწლეულში დედაქალაქის მოსახლეობას 2499 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადაეცა.

რამდენი კაცის ახდენილი ოცნება, რამდენი გამართლებული იმედია ამ ციფრებში! ახალი ბინა ხომ ახალი ცხოვრებაა! მშვიდობით, სივიწროვევ, მშვიდობით, უმზეო ოთახებო და თუნუქის ღუმელებო, მშვიდობით, აბანოს კარზე დგომავ!

რა მშვენიერია ახალ სახლში გათენებული პირველი დილა! დადიხარ ოთახიდან ოთახში, ფიქრობ, ვარაუდობ — რომელ ფანჯარას მოადგება დილის მზე, რომელს კიდევ — საბრხისა. სად უნდა გაიწყო საძილე და სად — სასადილო. მზის გულზე სად უკეთ გაშრება სარეცხი და სიგრილეში უკეთ სად შეინახება ზამთრის სანოვაგე, მწნილი და საწებელი.

ბევრი საამო საფიქრალ-საზრუნავი უჩნდება ახალმოსახლე დიასახლისსა და ოჯახის უფროსს.

მაგრამ... მხოლოდ საამო?

მაინც, როგორ ცხოვრობთ ახალმოსახლენო?

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ! — ეხმიანებიან რედაქციის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს თანამშრომლები შ. ბერიძე და ვ. პავლოვი. თვალი უკეთესს ვერ ხახავს, ისეთი თორმეტსართულიანი სახლი წამოგვიმართეს თეატრალურ მოედანზე ბათუმის სახლთსაშენებელი კომბინატის მშენებლებმა. ნეტავ შეგახედათ, რა ლამაზი კაფელითა და მეტლახის ფილებით მოგვიპირკეთეს სამზარეულო და სამხაპე, რა გემოვნებით, თითოეული ოთახისათვის დანიშნულების შესაფერისად, შეარჩიეს შპალერი...

— ეუფდ! — გვწერს ზესტაფონელი პენსიონერი შ. ქუტიძე. — მეტალურგთა კვალითის დასახლება გარედან მტერს უყვნებს თვალს, შიგნიდან — მოყვარეს. ქვესი თვის წინათ ზეიმით გადმოცეს ოროთახიანი ბინის ორდერი. რა ვიცოდი, თუ ამ დღიდან იწყებოდა ჩემი ტანჯვაც...

რა აწუხებს ამ ჩვენს ახალ მობინადრეს? — დაბრეცილი კარ-ფანჯარა („თუ გაიღო, არ იკეტება“), ჭახჭახა ფერად შეფეთქილი კედლები („თუ გაეკარე, შეიღებები“), ამოცვენილი პარკეტი, ამობურცული ლინოლეუმი... ჩემი კარის მეზობლის — კ. გუბელაძის ბინაში არც ერთი ნათურა არ ინთებოდა, იმიტომ, რომ კედლებში დაწყვეტილი სადენი იყო ჩატანებული; ჰოდა, ახლა ის ჩემი მეზობელი კედლებს მიადგა და ანგრევსო.

ეს სახლი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის ზესტაფონის ბინათმშენებლობის სამმართველომ ააშენა. როგორც გავიგეთ, მისი ხელმძღვანელები უკვე გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან, მაგრამ ვაი, რომ ასეთი „ძეგლები“ ბლომად დატოვეს ზესტაფონში!

როგორ გუნებაზე დააყენებს წამკითხველს ასეთი წერილი? გამონაკლისი რომ იყოს, კიდევ ჰო. მაგრამ, სამწუხაროდ, თვით კვალითის დასახლება არ გახლავთ გამონაკლისი: უხარისხო ბინათმშენებლობას მრავალი მკითხველი შემოგვჩივის და მათი ბარათები ბევრად აღემატება იმგვარ ხალიან წერილებს, თავში რომ გაგაცანით.

იქნებ იმიტომ, რომ რედაქციას უფრო ხშირად დასჯერებლად მომართავენ? — გახარებული კაცი, განსაკუთრებული საბაბი თუ არა, ისე არ მოიწერება. განსაკუთრებულ საბაბად კი, მოგეხსენებათ, ახალმოსახლეობა რა ხანი აღარ ითვლება — ის ჩვენი ცხოვრების ნორმად, კანონზომიერებად იქცა.

ან იქნებ ეს ჩვენი მომდურავი ახალმოსახლენიც ჭირვეულობენ — აჭარბებენ, ფერებს ამუქებენ?

ამას წინათ „კომუნისტის“ რედაქციამ გადაწყვიტა ერთდროულად თავიანი ყველა ზონის კორესპონდენტისათვის გადაეგზავნა შეკითხვა: ახალმოსახლეობა უკმაყოფილონი ახალმობინადრეთა წერილები. იმავე დღეს რედაქციის მუშაკებმა თბილისელ მოქალაქეთა საჩივარ-განცხადებებიც შეისწავლეს და რამდენიმე დღეში ყველამ, შეთქმულივით, ერთნაირი მოხსენებითი ბარათი წარმოადგინა — „განცხადებაში მოყვანილი ყველა ფაქტი დადასტურდა“...

და აი, ახლა ჩვენს წინ აწყვია ეს განცხადებები, მოხსენებითი ბარათები და სხვადასხვა უწყება-დაწესებულების ხელმძღვანელთა პასუხები რედაქციის მიერ კონტროლდაწესებულ წერილებზე.

ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ვიტყვით: უსიხარულო სურათია. დიახ, ბევრ, ძალიან ბევრ პრეტენზიას ეყენებენ ჩვენი მკითხველები მშენებლებს და, სამწუხაროდ, მათი საყვედურები სამართლიანია.

თავად განსაჯეთ:

ახალმოსახლეობა ჩაუმწარდათ სოხუმში, აგრამს ქუჩა № 3ა ცხრასართულიანი კორპუსის მობინადრეებს — 96 ოჯახს. ლიფტი გაუმართავია და თავბოლს გვაწყენენებს, შენობის სახურავი წყალს ატარებს, წვიმა რომ გადაიღებს, ჩვენს სახლში სამი დღე კიდევ წვიმსო, — გვწერენ სამამულო ომის ინვალიდი რ. მელნიკოვი და შრომის პირველი ჯგუფის ინვალიდი ე. კორძახია.

„ეუბერო გადახურვისათვის უჩიოდნენ „თბილისმშენის“ № 10 ტრესტის მშენებლებს დიღმის მასივის პირველი კვარტლის მეთერთმეტე კორპუსის მცხოვრებლები.

თელაველი ახალმოსახლეების ცოდვა კი რუსთავის სახლთმშენებლებს აწვევთ: ალაზნის გამზირზე რომ სახლი ააშენეს, ჭერის გადასახურავი ბლოკები ისე დაუდევრად მიყარ-მოყარეს, რომ შეღამებულზე ამ სახლის სხვენიდან გარსკვლავიან ცას დაინახავს კაცი.

მაგრამ მარტო ჭერიდან როღი აწვიმთ ახალმოსახლეებს. ვარკეთილის დასახლებაში მცხოვრებ დ. საკინაშვილს ბინას კედლების შეერთების ნაწიბურებიდან გამოჟონილი წყალი უნესტიანებდა. ამასვე შემოგვჩიოდნენ მეზობელი კორპუსების ბინადარნი (საქარხნო რაისაბჭოს აღმასკომის თავჯდომარემ ნ. ხომერიკმა დაგვიდასტურა, რომ ანალოგიური დეფექტებით ზედა პლატზე არა ერთი და ორი მრავალსართულიანი სახლი გადასცეს საექსპლოატაციოდ).

„ძნელი დასაჯერებელია, რომ მშენებლებმა ჩვენი სახლი ააგეს დევნით — „ვაშენოთ სწრაფად, იაფად და ხარისხიანად!“ (ასეთ პლაკატს ყველა ახალმშენებლობაზე ნახავთ). უფრო სავარაუდოა, რომ მათი დევნი იყო: „ვაშენოთ უნიათოდ და უხარისხოდ!“ — გვწერს ი. აგიაშვილი, გლდანის მასივის მესამე მიკრორაიონის № 3ბ კორპუსის ახალმოსახლე.—მე კიბალჩიჩის აღმართზე ვცხოვრობდი, ნეტბიან, ავარიულ ბინაში. ფრთები გამომესხა, როცა გავიგე, ბინას მაძლევენო. ვერ აგიწერთ, რა გულისფანცალით შევალე ჩემი ახალი ბინის კარი. შევედი და რას ვხედავ: კარი ჩამონგრეული, ფანჯრის ჩარჩო ამოგარდნილი, მინები ამოღებული...“

ასევე სიხარულით ფრთაშესხმული მიეშურებოდა თავისი ახალი ბინისაკენ ცხინვალელი მოქალაქე, გმირი დედა ქ. კიბისოვა. რა დახვდა? — შეუმინავი კარები და ჩამტვრეული ფანჯრები, აცა-ბაცად აკრული პლიტუსები ალაგ-ალაგ პირდაღებული ღრიჭოებით, კედლიდან ათი-თორმეტი სანტიმეტრით დაცილებული, მიბრეცილ-მობრეცილი ცენტრალური გათბობის მილები. მშენებლებს ლოჯიაში მეტლახის ფილები საერთოდ არ დაეგოთ, თუმცა პროექტით გათვალისწინებული იყო. ეს სახლი გორის სახლთსაშენებელი კომბინატის მშენებლებისაგან შარშან პირობით მიიღო კომისიამ, მაგრამ ათი თვე გავიდა, და პირობა პირობად დარჩა, სამშენებლო „კუდების“ გამოსწორებას საშველი არ დაადგა.

თუმცა ათი თვე რა სათქმელია, როცა სამი წლის წინათ იზეიმეს ახალმოსახლეობა ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის მუშებმა და ამ ხნის მანძილზე მათი ორი ცხრასართულიანი კორპუსი ერთხელაც არ გამთბარა.

ყოველწლიურად ახალციხეში რამდენიმე საცხოვრებელ სახლს გადასცემენ საექსპლოატაციოდ და ვერც ერთი სახლის მობინადრენი ცხელი წყლით ვერ სარგებლობენ — მშენებლებს საქვაბეში წყალგასაცხელებელი ბოილერები არ დაუმონტაჟებიათ.

ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის საუწყებო სახლის ბინადართან ახალმოსახლენიც აღარ ეთქმით, რადგან ექვსი წელია ბინაში შესახლდნენ, გათბობა და გაზი კი დღესაც არა აქვთ და ბავშვებიანი ოჯახები ნიადაგ იმის ფიქრში არიან, ზამთარში ვის შეეხებნონ.

ᲐᲮᲚᲐ კი იმასაც გიამბობთ, რა საინტერესო ამბავი მოხდა ამ ორიოდე წლის წინათ თემქის დასახლების მე-11 მიკრორაიონის ერთ-ერთ კორპუსში:

ამ სახლში გათბობის ახალი სისტემის ბრტყელი რადიატორები დააყენეს. — ახალი სისტემის? — იფიქრეს მკითხველი, — ესე იგი გაუძლებენ, არა?

წარმოიდგინეთ, რომ არა. შემოდგომაზე, გათბობა რომ ჩართეს, პირდაპირ დაუჯერებელი რამ მოხდა: არ დარჩენილა 90 ბინიდან არც ერთი, რადიატორი მწყობრიდან რომ არ გამოსულიყო!

ზამთარი კარს იყო მომდგარი. რა უნდა ექნათ მობინადრეებს? ნაწილმა სასწრაფოდ გადაკეტა გათბობის სისტემა და ყინვა-ბაბანებაში ყოფნა ირჩია, დანარჩენებმა კი რადიატორებს ჭურჭელი შეუყენეს და მთელი ზამთარი სააბაზანოში დაარბენინებდნენ გალაცლილებულ ვედროებს. აი ასეთ დღეში ჩაადგა ეს კეთილი ხალხი „ტექნიკურმა პროგრესმა“.

გლდანის „“ მიკრორაიონის 66-ე კორპუსის მაცხოვრებლები ერთ ღამეს ზამთმა და გრიალმა გამოაღვიძა. რა არ მოელანდება ახალგაღვიძებულ ადამიანს — მეწყური, მიწისძვრა, რაღაც გლობალური უბედურება... გულგახეთქილები, დედამბინაა გარეთ რომ გამოცვივდნენ, აღმოჩნდა, რომ მეშვიდე და მერვე სართულის აივნებს მოაჯირები მორღვეოდა და დაბლა უხუვლია. ნამდვილად ბედი გვქონიაო, — გვწერდნენ ეს ადამიანები. — წარმოიდგინეთ, ეს რომ დღე მომხდარიყო, უმსხვერპლოდ ხომ ვერ გადავრჩებოდითო?!

ეჰ, ბევრ თავსატეხს უჩენს ახალმოსახლეს მშენებლისა და დამპროექტებლის შეცდომა და დაუდევრობა. მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც! ერთხელ ჩვენმა მკითხველმა, საკაძის ქ. № 57-ში მცხოვრებმა უ. თათარაძემ შემოგვჩივლა, სარდაფი დაგვეტბორა და ისეთი სუნი დგას, საიათ ავიყოროთ და გადავცვინდეთ აღარ ვიციოთო.

მიზეზი რომ დაგვედგინა, ლენინის რაისაბჭოს აღმასკომს მივმართეთ. იქ გავიგეთ: თურმე მშენებლებს საკანალიზაციო არხისა და საოჯახო საჭიროებისათვის დახარჯული წყლის მილები ცენტრალური საკანალიზაციო არხისათვის არ მიუერთებიათ, რის გამოც ეს ბინძური წყალი თვეების განმავლობაში მიედინებოდა სარდაფებში!

აი ასე: საკაძის ქუჩაზე მშენებლებს მილების შეერთება **დაავიწყდათ**, კეკელიძის ქ. № 25 სახლის დამპროექტებისას „თბილისქალაქპროექტის“ არქიტექტორებმა ფერდობიდან ჩამონადენი წყლების ბინებში ჩაშვებაზე **ვერ გაითვალისწინეს**, გლდანის მე-8 მიკრორაიონში მე-15 ტრესტის მშენებლებმა კორპუსების ირგვლივ მიწის მოკრა და სადრენაჟო სამუშაოების ჩატარება **დაიზარეს**...

რამდენი დაბტორილი სარდაფია ახლა თბილისში? ამისი ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. ან სტატისტიკა რად გვინდა, თუკი ამ დატბორილი სარდაფების სიკეთე საკუთარ ტყავზე გვაქვს ნაწვნევი, ჩემო მკითხველო?

წელს ზაფხულში რედაქციაში ერთი მოქალაქე გვეწვია და სამი შვილიშვილი მოგვიყვანა. ფეხები და მკლავები ბავშვებს ერთიანად დაკბენილ-დასისხლიანებული ჰქონდათ. მთელი ღამე ვერ იძინებენ, შემიბუმა კოღომ და ქინქლამო, — შემოგვჩიოდა მოხუცი. — ამისთანა დღეში, ჩემო ბატონო, ახლა კოლნეთში მაცხოვრებელი ხალხი აღარ არისო...

ვიღას არ მიმართავენ გულმოსული მობინადრეები — სახლთმმართველობას, აღმასკომს, სანეპიდსადგურს... მაგრამ აღმასკომი საკუთარი ძალებით რას გახდება? ერთხელ, ორჯერ, თუნდაც ხუთჯერ ამოტუმბავს წყალს სარდაფიდან. გაიკლის ხანი და წყალი ისევ დგება.

ეპიდსადგურების მუშაკებიც, ხან საკუთარი ინიციატივით, ხანაც ჩვენი თუ სხვისი თხოვნითა და მითითებთ, თავგამოდებით წამლავენ ნაირნაირი შხამქიმიკატებით დატბორილ სარდაფებს, მაგრამ ესეც მხოლოდ დროებით ეფექტს იძლევა.

იხარჯება სახსრები, ძარღვები აწყდება ხალხს, მიდი-მოდიან კომისიები, დგება საჩივარ-განცხადებების ტომები... არადა, ყველაფერი ეს საჭირო არ იქნებოდა, მშენებლებს თავის დროზე საქმე ბოლომდე რომ მიეყვანათ!..

მშენებლობის წესის უმთავრესი მიზეზი კონტროლის ქმედითი სისტემის უქონლობა, საშენ მასალათა უხარისხობა, კვარტალისა და წლის ბოლოს გამართული ავრალობია და იერიშობანაა.

ზოგჯერ ახლად დამთავრებულ სახლებს რომ ათვალიერებ, თვალნათლივ ხედავ: მის აშენებლებს მარტო ის ადარდებდათ, სახლი როგორმე სახურავქვეშ მოექციათ და გეგმაში მითვალათ, კეთილმოწყობის სამუშაოები კი ისე ჰარიჰარად ჩაუტარებიათ, თითქოს სხვის გასაკეთებელ საქმეს აკეთებდნენო.

აი ამბროლაურში, სტალინის ქ. № 1 შარშან აშენებულ სახლს წყალგაყვანილობისა და გათბობის სისტემა ცუდად რომ დაუმონტაჟეს, ვის აწუხებს იმისი ბედი? ვიდრე ხლავთ, დიახ, ყალბი.

მერე მკაცრად ისჯებიან ეს ყალბისმქმნელები გინდ მორალურად, გინდ მატერიალურად? არა.

იქნებ საქმეს რაღაც შველეობდა, აღმასკომებს ამ კომისიებში მომავალი მობინადრეებიც რომ შეეყვანათ? იცოცხლეთ, ისინი ძირისძირში ჩაყვებოდნენ ყველაფერს, ასჯერ მიაბრუნებდნენ მშენებლებს და ყველაფერს გააკეთებინებდნენ!

მაგრამ ამ კომისიებში არამცთუ მობინადრეები, თვით რაიონული თუ საქალაქო საბჭოს და კომუნალური მეურნეობის წარმომადგენლებიც იშვიათად არიან.

რატომო, იკითხავს მკითხველი. დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ მერე ახალმობინადრეთა საყვედურები და საჩივრები ადვილად მოიგერიონ: სამშენებლო დეფექტების აღმოფხვრა ჩვენ არ შეგვიძლია და, კაცმა რომ თქვას, არც გვევალება. შენობა ვინც ააგო და საექსპლოატაციოდ გადასცა, პასუხიც იმას მოსთხოვეთო!

ᲯᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘᲐ: მშენებელი მუშების თითქმის ხუთი პროცენტი ნიადაგ წუნის ლიკვიდაციას უნდება. თუ ამას კიდევ წუნდებულ მასალებსა და მშენებლობის სხვა, აუცილებელ დანაკარგებს მივუმატებთ, უზარმაზარ ციფრს მივიღებთ.

მშენებლების ასეთ არაკეთილსინდისიერ საქციელს, ვთქვათ, გასამართლებელი არა, მაგრამ ასახსნელი მოტივი მაინც აქვს — გეგმის შესრულებას ეშურებიან, შემკვეთისგან სამშენებლო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება აქვთ მისაღები, გარდა ამისა, პრემიების დაკარგვისა ეშინიათ, ამიტომაც ჩქარობენ. მაგრამ მიმღებ კომისიებს რაღა აიძულებს ამ ნახევრად დაუმთავრებელ შენობებს რომ იბარებენ? იბარებენ დღისით-მზისით, უშიშრად და ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე?

ჯერ გერბიან ქაღალდზე ლამაზად გააფორმებენ მიღების აქტს, მერე კი უბრალო ქაღალდზე წერილად ჩააჭიკჭიკებენ, თუ გაუკეთებელი ან ხელახლა გასაკეთებელი რა დატოვეს მშენებლებმა. ამ ნაკლს იმ ღერბიან ქაღალდს უკან მიაკრავენ. ასე რომ, ის მეორე, უსახური ქაღალდი ანუ სადეფექტო აქტი ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას, გერბიან ქაღალდზე გაფორმებული აქტი კი ყალბი გამოდგება.

ᲒᲐᲒᲠᲐᲛ მის ოპტიმიზმს ყველა ახალმოსახლე არ იზიარებს და არც ასეთ შემწყნარებლობას იჩენს. ან კი როგ